

შპს “პლატინა-XXI” ს/კ 434167554

ძირითადი საქმიანობა

შპს “შპს პლატინა-XXI” (შემდგომში “კომპანია”) დაფუძნდა 2016 წლის 01 ივნისს, მარეგისტრირებული ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, იურიდიული მისამართი: საქართველო, მარნეულის რაიონი, ნ. ნარიშკინის ქ., №20. კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორია ზიადინ კახრამანოვი (პ/ნ 28001066818). კომპანიის საქმიანობის სფეროა ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების დისტრიბუცია.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში.

	1/1/2018	12/31/2018
ლარი საბანკო ანგარიშებზე	8 619,87	2 513
ნაღდი ფული სალაროში	76 057,53	155 659
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	84 677	158 172

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიას 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით უფიქსირებოდა 93 711 ლარის სავაჭრო მოთხოვნა, ხოლო 31 დეკემბრის მდგომარეობით - 162 527 ლარს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება მოიცავს მარაგების და შესაბამის შემთხვევებში უშუალოდ იმ ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეული იქნა სასაქონლო-მატერიალური მარაგების მათ თავდაპირველ მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანიას აქვს მარაგების ერთი პოზიცია ალკოჰოლური და არაალკოჰოლური სასმელების დისტრიბუცია.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

	1/1/2018	12/31/2018
საქონლის მარაგები	26 625	19 822
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	26 625	19 822

ძირითადი საშუალებები

ბალანსზე აღრიცხული ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა, რომელიც მოიცავს აღნიშნული აქტივების ღირებულებას და იმ ზედნადებ დანახარჯებს, რომელიც გაწეული იყო მათ საექსპლუატაციოდ.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის გაუფასურების რაიმე ნიშანი. პერიოდის ბოლოს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების საბაზრო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება რეალური საბაზრო ღირებულებისგან და არ საჭიროებს შეფასებას. კომპანიის ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალების ნაშთი 01.01.2018 წლის მდგომარეობით შეადგენდა 76 507 ლარს, 31.12.2018 წლის მდგომარეობით 62 062 ლარს.

სავაჭრო ვალდებულებები და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო დავალიანება წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება ყოველდღიური საქმიანობის პირობებში მოწოდებული საქონლის ან მომსახურების შესაბამისად. ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება

შპს “პლატინა-XXI” ს/კ 434167554

თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას.

კომპანიას სახელფასო ვალდებულებები პერიოდის საწყისი და საბოლოო თარიღებისთვის არ უფიქსირდება.

კომპანიას საანგარიშო პერიოდში აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი ზირაათ ბანკიდან კომპანიის მიმდინარე და გრძელვადიანი ხარჯების დასაფარად.

	1/1/2018	12/31/2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	16 824	60 426
სესხი ბანკიდან	325 677	278 225
საგადასახადო ვალდებულება	-4 042	-3 697
სულ მიმდინარე ვალდებულებები	338 459	334 954

გაუნაწილებელი მოგება

კომპანიას 2018 წლის დასაწყისში უფიქსირებოდა გაუნაწილებელი მოგება 16 556 განხორციელებული საქმიანობიდან. 2018 წლის ბოლოს არსებულმა გაუნაწილებელი მოგების ნაშთმა შეადგინა -5 866 ლარი.

შემოსავალი რეალიზაციიდან და გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის მიერ საქართველოში მიღებული შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით და მცირდება მოსალოდნელი ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

პერიოდის თვითღირებულების ხარჯი მოიცავს ჩამოწერილ მარაგების თვითღირებულებას და მის გაყიდვაზე გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს,

	12/31/2018
შემოსავალი რეალიზაციიდან	2 316 702
გაყიდული მარაგის თვითღირებულება	2 026 058
სულ წმინდა შემოსავალი	290 644

ხარჯები

კომპანია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, იჯარის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

მისამართი: საქართველო, ქ. მარნეული, ნ. ნარიმანოვის ქ. №20;

e-mail: ziadinkhaxramanovi@mail.ru

შპს “პლატინა-XXI” ს/კ 434167554

	12/31/2018
ხელფასის ხარჯი	99 850
იჯარის ხარჯი	18 305
საბანკო ხარჯი	22 360
ცვეთის ხარჯი	15 429
სხვა ხარჯი	70 438
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	226 382

დირექტორი

ზიადინ კახრამანოვი

30.09.2019

შპს “პლატინა-XXI” ს/კ 434167554